*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**წევრები:**

ნელიკო მათეშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 243121233 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხარება |
| ფაქტობრივი მისამართი | სოფელი ხარება |
| საფოსტო ინდექსი | 5300 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/2277?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | khareba@mes.gov.ge |

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 599-09-64-21 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | **2026 წლის 27 თებერვლის MES 3 26 0000241850 ბრძანება** |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | **2026 წლის 26 და 27 მარტი** |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული ენა | წალკის მუნიციპალიტეტი; სოფელი ჩრდილისუბანი, 1-ლი ქუჩა N22 (ერთი შენობა).<br><br>წალკის მუნიციპალიტეტის; სოფელი ხარება; 1-ლი ქუჩა N42 (ერთი შენობა). |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | **სულ ორი შენობა** |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **საბაზო** | **ქართული ენა** | წალკის მუნიციპალიტეტის; სოფელი ხარება; 1-ლი ქუჩა N42 (ერთი შენობა) |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **საშუალო** | **ქართული ენა** | წალკის მუნიციპალიტეტის; სოფელი ხარება; 1-ლი ქუჩა N42 (ერთი შენობა) |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

საჯარო სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის თვითშეფასების კითხვარს და დოკუმენტაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2026 წლის 27 თებერვლის MES 3 26 0000241850** ბრძანების საფუძველზე **2026 წლის 26 და 27 მარტს**. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. ექსპერტთ ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა მასწავლებლებს, დირექციას, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა

დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ **შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 130 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლ პროგრა)* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი *(საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N...* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| ინდიკატორი N3.1.2.4 | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) აღმოფხვრას ხარვეზი და დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილების დროს გაითვალისწინოს მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თავი II/1, მუხლი 21/3). |
| ინდიკატორი N3.1.2.4 | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და | სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება. |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | |
| ინდიკატორი N3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | ა)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2027 წლის 1 იანვრამდე) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (ორივე შენობისთვის).<br><br>ბ)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 30 მაისამდე) შეათნხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან. |
| ინდიკატორი N3.4.1.2 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე  პირველადი დახმარების აღმოჩენას | სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში  (01.01.202 წ.)  დაასაქმოს   ექიმი/ექთანი,  რომელიც  საჭიროების  შემთხვევაშ პირველად სამედიცინო დახმარებას გაუწევს სასკოლო საზოგადოებას. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N3.5.1.4 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (15.09.2026) მოაწყოს პანდუსი (ჩრდილისუბნის შენობა). |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N2*** | *სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| ინდიკატორი N 2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) აღმოფხვრას ხარვეზი და დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილების დროს გაითვალისწინოს მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თავი II/1, მუხლი 21/3). |
| ინდიკატორი N 2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება. |
| | | |
| ***სტანდარტი N2*** | *სასკოლო კურიკულუმი (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| ინდიკატორი N 2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება. |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N...* | | |
| ინდიკატორი N1.1.1.3 | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით | სასურველია, სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშო ჯგუფი მოიცავდეს მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს. |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი* N3.1.1.2 | სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას | სპეციალური მასწავლებელი ასრულებს სახელმწიფო ენის მასწავლებლის ფუნქციასაც, სასურველია, მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია მოვალეობიდან გამომდინარე, სკოლის დირექციამ გამოაცხადოს ვაკანსია სპეციალური მასწავლებლის ან სახელმწიფო ენის მასწავლებლის პოზიციაზე. |
| ინდიკატორი **N3.4.1.1** | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის | ა)სასურველია, სკოლას ბრძანებით ჰქონდეს დამტკიცებული ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი<br><br>ბ)სასურველია, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი |

| | | |
|---|---|---|
| | ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| ინდიკატორი N 4.2.2.3. | სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს | სასურველია, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლამ აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა, შედეგების ანალიზის დოკუმენტირება და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა. |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)* | *რჩევა* |
| | | |
| *ინდიკატორი N 2.1.2.1.* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზი რომელშიც გაძლიერებული იქნება დიფერენცირებული სწავლებ სტრატეგიები.<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>სამივე საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები საჭიროებს სტილისტურ და შინაარსობრივ დაზუსტებას. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი იღებს დავალების ან აქტივობის ფორმას, ზოგჯერ კი საკითხების ჩამონათვალს ჰგავს ან ზედმეტად ზოგადია და არ არის დაკონკრეტებული. რეკომენდებულია, კონტექსტ-მაგალითები |

| | | |
|---|---|---|
| | | ჩამოყალიბდეს იმავე ფორმატით, როგორც ეს წარმოდგენილია პირველი კლასის კურიკულუმის პირველ თემაში.<br><br>პროექტული სწავლების მუსიკის კურიკულუმში საჭიროა კონტექსტ-მაგალითების დამატება. რეკომენდებულია, სკოლამ იხელმძღვანელოს თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებით და შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები შეავსოს იგი.<br><br>**ტექნოლოგიები:**<br>რჩევა: სასურველია ზოგიერთი კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეა მეტად დააკონკრეტონ, გახადონ მეტად მკაფიო და გასაგები.<br>(schoolemis.ge--ს შესაბამისი კომპლექსური დავალების ბმულის ჩასმის ნაცვლად, დაიწეროს უშუალოდ კომპლექსური დავალების იდეა)<br><br>**დაწყებითი კლასები:**<br>*ბუნებისმეტყველებაში დარედაქტირდეს მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმები.* |
| ინდიკატორი: 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია საგნობრივ კურიკულუმები რევიზია, რომლის დროს გათვალისწინებული იქნება თითოეული საკითხის, შემოქმედებით დავალების - არა ერთობლივად ყველა სამიზნე ცნებ გათვალისწინებით დაგეგმვა, არამედ ღრმად იქნას გააზრებულ თითოეულ საკითხში ორი ან სამი სამიზნე ცნება<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების IV კლასის კურიკულუმ მეორე თემაში მისათითებელია ქვეცნება — „სახვითი ხელოვნებ |

| | | |
|---|---|---|
| | | ჟანრები და დარგები“. V და VI კლასების კურიკულუმებში, მეორე დ მესამე თემებში, დასამატებელია ცნება — „სხვადასხვა ეპოქი კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრულ მახასიათებლები“. დაწყებით და დასაბზო საფეხურზე, IV კლას კურიკულუმის მსგავსად, ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმ თითოეულ თემაში დაკონკრეტდეს ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალო თემის ფარგლებში მუშავდება.<br><br>დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებითი დავალებებ ჩამოყალიბდეს მკაფიო და სრულყოფილი სახით, რადგან ამჟამად ისინ ძირითადად მოკლე ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილ მიზანშეწონილია, თითოეულ თემაში მოცემული იყოს კონკრეტულა ფორმულირებული დავალება, სადაც გამოიკვეთება მოსწავლი საქმიანობა და მოსალოდნელი შედეგი.<br><br>ასევე, პროექტული სწავლების კურიკულუმში პროექტის იდ ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, რათა ნათლად გამოიკვეთოს მოსწავლი საქმიანობა და მოსალოდნელი შედეგი.<br><br>დაწყებით და საბაზო საფეხურზე მუსიკის საგანში სკოლ იხელმძღვანელოს თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმებ ჩარჩოებით. მესამე კლასის კურიკულუმი შემუშავდეს სხვა კლასებ მსგავსად, მათ შორის, უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნებებისა დ შესაბამისი რესურსების მითითება.<br><br>პროექტული სწავლების კურიკულუმში პროექტის იდეების ნაცვლა წარმოდგენილია საკითხები, რის გამოც საჭიროა მათი დაზუსტება დ პროექტის იდეების მკაფიოდ მითითება. მნიშვნელოვანია, პროექტ |

| | | |
|---|---|---|
| | | იდეა ჩამოყალიბდეს ისე, რომ წარმოაჩენდეს პროექტის ძირითა ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლო პროდუქტს, რაც ხელს შეუწყობს დავალების მიზნის უკეთ გააზრებას დ სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას. ასევე, მითითებულ იყოს ის ცნებები, რომლებიც მუშავდება პროექტის ფარგლებში.<br><br>**სახელმწიფო ენა:**<br>პირველი კლასის კურიკულუმი უნდა ჩასწორდეს ეროვნული სასწავლ გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მასში უნდა ჩანდეს სამიზნე ცნებ წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა და მისი დამუშავებისთვი შესაბამისი შემოქმედებითი დავალებები.<br><br>**დაწყებითი კლასები:**<br>დარექდაქტირდეს ქართულის I კლასი და მათემატიკის I და II კლასი კურიკულუმი. |
| **ინდიკატორი: 2.1.2.3** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **საბუნებისმეტყველო:**<br>სასურველია ფიზიკის ყველა კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული და მატერიალური რესურსები.<br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია რესურსების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას, რო რესურსების გამოყენება ზოგ შემთხვევაში საჭიროებს უფრ მიზანმიმართულ დაგეგმვასა და დიფერენცირებულ მიდგომას, რათ სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები და შესაძლებლობები.<br>**უცხოური ენები:**<br>სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრ მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ის მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთ |

| | | |
|---|---|---|
| | | ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზ ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებულ იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტ ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტუ დავალებაზე მუშაობის პროცესში.<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებ ყველა კლასის კურიკულუმის ყველა თემაში მიეთითო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლებ რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში. მიზანშეწონილია, მიეთითო გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, ხოლ მუსიკის კურიკულუმებში - მოსასმენი მასალის შესაბამისი ბმულებ ასევე სასურველია ბმულების პერიოდული გადახედვა და განახლებ რათა ისინი ტექნიკურად გამართული და ხელმისაწვდომი იყოს. |
| **ინდიკატორი: 2.1.2.4** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიურ და ითვალისწინებს დიფერენცირებუ მიდგომებს** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დრო მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებულ მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს<br><br>**სახელმწიფო ენა:**<br>სახელმწიფო ენის მიმართულებით მოწესრიგდეს და დოკუმენტურა გაიწეროს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.<br>სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახება ის აქტივობებ რომლემსაც კათედრა ახორციელებს დიფერენცირებული სწავლებ თვალსაზრისით.<br><br>**დაწყებითი კლასები:** |

| | | |
|---|---|---|
| | | შესწორდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. |
| **ინდიკატორი: 2.1.2.5** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია კათედრაზე შეთანხმებულად შემუშავდეს შეფასებ ერთიანი ფორმა, რომელშიც სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრ წარმოდგენების გამომუშავების დონე უფრო გაზომვადი იქნება.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია შეფასების რუბრიკების რევიზია და დახვეწა. ასე მოსწავლის თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების წახალისებ ასევე სასურველია კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილო როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებ ეფექტიანობა და წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგა მოჰყვება მათი დახვეწა.<br><br>**უცხოური ენები:**<br>მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი დ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემ ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალებ მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რო მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლ ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკები, როგორც სახვით დ გამოყენებით ხელოვნებაში, ისე მუსიკაში, არ იყოს ზოგადი ხასიათის დ ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული, მკაფიოდ ფორმულირებულ კრიტერიუმებით. |

| | | |
|---|---|---|
| | | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდე და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნება თითოეული თემის ფარგლებში.<br><br>**დაწყებითი კლასები:**<br><br>გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევა, I-IV კლასებში შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრუ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტულ დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთა მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. |
| *ინდიკატორი: 2.2.1.1* | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელო საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესი რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებებ კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება კურიკულუმის რევიზიაში დ დოკუმენტირებაში. |
| *ინდიკატორი: N 2.2.1.2* | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენების გაზომვა უფრო თვალსაჩინოდ იყოს შესაძლებელ განმავიტარებელი რუბრიკებიც საიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენების მიხედვითაა გასაწერი.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ხშირა განხორციელდეს მონიტორინგისა და თვითშეფასების მექანიზმებ რათა კათედრამ რეგულარულად გააანალიზოს საკუთარი შეფასებ პრაქტიკა და შეიმუშაოს გაუმჯობესების გზები. ასევე სასურველ პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილ პორტფოლიოებით შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში;<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>სასურველია, დაწყებით და საბაზო საფეხურზე, როგორც მუსიკის, ი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასებ რუბრიკები შუმუშავებული იყოს უშუალოდ თემის ფარგლებში თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაშ ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცეს უფრო მაღალ ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ასე რეკომენდებულია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასებ რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლ კრიტერიუმები ზუსტად და ნათლად იყოს განსაზღვრული. |
| *ინდიკატორი: 2.2.2.1* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველ თემას შეესაბამებოდეს ძირითად რესურსთან ერთად დამხმა რესურსების მატერიალური ჩამონათვალი და ონლაინ რესურსებ გააქტივებული ლინკები.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მოქმედ ელექტრონული რესურსების, ასევე აღნიშნული ელ. რესურსებ |

| | | |
|---|---|---|
| | | შერჩევის დროს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკი, ასევე ის, რო ინფორმაცია გადმოცემული იქნას ქართულ ენზე; |
| *ინდიკატორი: 2.2.2.2* | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დაინერგ გამოყენებული დამხმარე ელექტრონული რესურსების ეფექტიანობ შემდგომი ანალიზის პრაქტიკა.<br><br>**ესთეტიკური აღზრდა:**<br>მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსებ ვალიდაციის ერთიანი წესი, სადაც განსაზღვრული იქნება რესურსებ შერჩევის, შეფასებისა და გამოყენების კრიტერიუმები, რ უზრუნველყოფს რესურსების ხარისხის სისტემურ კონტროლსა დ სასწავლო პროცესის ეფექტიან მხარდაჭერას. |
| *ინდიკატორი: 2.2.2.3* | **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სკოლამ უზრუნველყოს საშუალო და საბაზო საფეხურ საბუნებისმეტყველო კაბინეტის გამოყოფა და მისი აღჭურვა სველ წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა დ რეაქტივებით. |
| | | |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახულ არგუმენტირებულ პოზიციას.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა: ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები. ხედვა: სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც
მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ ქართულ შრომის ბაზარზე.

ღირებულებები:

1. თანამშრომლობა;
2. გუნდურობა;
3. გამჭირვალობა;
4. დემოკრატია;
5. ობიექტურობა;
6. განვითარება და ინოვაციურობა.

**ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა სასკოლო საზოგადოებისთვის წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო კულტურულ სივრცეს. სკოლას აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის ფილოსოფიის შემუშვების დროს ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. სკოლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან. სკოლის დირექცია ზრუნავს, რომ სკოლა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების დაცვის შემდეგი მექანიზმები: სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ ბრძანებით არის დამტკიცებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოქმედებს მორიგეობის სისტემა. სკოლის პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები. სკოლა დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისგან. კონტროლდება შემოსასვლელი კარი, ეზო. სკოლის დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის შენობაში და სკოლის ეზოში ჰიგიენური ნორმების სრულად დაცვას. სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის. სკოლაში ტარდება სოციალური პროექტები. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩრთულნი პროექტებში, ოლიმპიადებში. მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პროფორიენტაციაზე. **ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დირექტორის ბრძანებით (05.09.2025 წ. N34 ა) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან (მასწავლებლები, დირექცია) სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშვების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშო ჯგუფის მუშობის ამსახველი ოქმები. ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებსა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებზე დაყდნობით. სამუშაო ჯგუფის მუშაობა წარიმართა პირისპირ შეხვედრების ფორმატში.

**რჩევა:** სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირების პროცესში მეთოდოლოგია. **ინდიკატორი 1.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსია შეხვედრებზე გაუზიარა სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს დადასტურდა მისიის, ხედვის, ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ.გვერდზეც. **ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. იგი დაფუძნებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი სსიპ წალკის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლა. **ინდიკატორი 1.1.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2.შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირქციამ წარმოადგინა სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 5 სექტემბრის N33 ა ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცედურები. **ინდიკატორი 1.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. იგი მოიცავს სკოლის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებებს. სკოლის ხედვასა და მისიაზე დაფუძნებული სტარატეგიული გეგმა შემუშავებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში ჩართული არიან დირექციის წამომადგენელი, მასწავლებლები. განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობანი და შესრულების ვადები. **ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ერთწლიანი სამუშაო გეგმა გაწერილია ცხრილის სახით კონკრეტული მიზნების შესაბამისი ამოცანების, ვადების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. **ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
2.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3.მეთოდოლოგია

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დებილების მიხედვით მონიტორინგი ტარდება სასწავლო წლის ბოლოს. მონიტორინგის შედეგები საჯაროა (მეთოდოლოგიის თავი N12). **ინდიკატორი 1.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც არის სქემატური სახით. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სტრუქტურები ფუნქციონირებენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები დარეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და პირების საქმიანობა ეფუძნება სკოლის წესდების დებულებას. **ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც არის საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის განაწილების ეფექტური საშუალება. სკოლის თითოეულმა წარმომადგენელმა იცის საკუთარი საქმიანობა და განსაზღვრულია მისი როლი. სტრუტურული ერთეულებისა და თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის ფუნქციები მკაფიოა და გამჭვირვალე. დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახულია მათი ფუნქციები. სახელმწიფო ენის მასწავლებელს დაკავებული აქვს სპეციალური მასწავლებლის პოზიციაც. **რჩევა:** მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია მოვალეობიდან გამომდინარე სასურველია სკოლის დირექციამ გამოაცხადოს ვაკანსია სპეციალური მასწავლებლის ან სახელმწიფო ენის მასწავლებლის ვაკანსიაზე.

**ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის სტრუქტურა

2.ხელშეკრულებები

3.სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები)

4.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლებები (26.03.2026 წ. N7 ბრძანება)

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პრაქტიკა ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის შინაგანაწესს, შრომით ხელშეკრულებებს. შრომით ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი თითოეული თანამშრომლის ფუნქცია მოვალეობა. საგანმანათლებლო პროცესების რეგულირებისთვის სკოლაში შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო

ცხრილი. მასწავლებელთა მორიგების ცხრილი, სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და მიზნები. იგეგმება სკოლის ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესმა. ახალი სტრატეგიული და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, სკოლა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. დოკუმენტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას: დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა. **ინდიკატორი 3.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის მიღება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლას დამტკიცებული აქვს ვაკანტურ თანამდებობაზე კადრების შერჩევის წესი. სკოლაში ახალი კადრი შერჩეულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მიღება ემყარება სკოლის საჭიროებებს. სკოლა ვაკანსიის გამოცხადებისას ეყრდნობა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებასა და შრომის კოდექსს. კონკრეტული ვაკანსიისთვის კი შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კონკურსების გამოცხადების, ჩატარებისა და გასაჩივრების წესი და ვაკანსიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის გამჭვირვალე. გარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე https://teacherjobs.ge/, ხოლო შიდა კონკურსი შესახებ - სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ 2020 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომლების პირად საქმეში არ ინახება ცნობები, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

ხარვეზი: 2020 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომლების პირად საქმეში არ ინახება ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმასთან ერთად გადმოაგზავნა დოკუმენტაცია.

**ინდიკატორი 3.1.2.3. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 18 მასწავლებელი. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია 17 უფროსი მასწავლებელი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდა. **სკოლას ჰყავს ინგლისური ენის, ტექნოლოგიების, ფიზიკური აღზრდის სერთიფიცირებული მასწავლებლები, მაგრამ საათების გადანაწილების დროს დაწყებით საფეხურზე არ არის გათვალიწინებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. ისქულის ბაზის გადამოწმებისას დგინდება, რომ დაწყებით კლასებში ასწავლიან დაწყებით კლასებში (I-IV) სერთიფიცირებული მასწავლებლები ინგლისურ ენას, მუსიკას, ტექნოლოგიებს,ფიზიკურ აღზრდას და სხვ. მუსიკას ასწავლის სხვა საგანში სერთიფიცირებული პედაგოგი.**

ხარვეზი: **ა)**მუსიკის მასწავლებელს კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მე-4 პუნქტი, მუხლი 21/3).
ბ)დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილების დროს არ არის გათვალისწინებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 21/3).

**რეკომენდაცია:** ა) სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) აღმოფხვრას ხარვეზი და დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილების დროს გაითვალისწინოს მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თავი II/1, მუხლი 21/3). **ბ)**სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება.

**ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი (26.12.2025 წ. ბრძანება N52) სტრუქტურულ ერთეულებში მაქსიმალურად არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, ყველა სტრუქტურა გადაწყვეტილებებს იღებს გუნდურად და მასში გაერთიანებული თითოეული წევრი მაქსიმალურად მონაწილეობს კონკრეტული აქტივობებისა და პროცედურების განხორციელებაში. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ხდება სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი) ერთობლივად შემუშავება. გუნდური მუშაობასა და მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს ის, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებს აღიარებისა და გაზიარების გამოცდილება. კერძოდ, ცალკეული მოსწავლის, სასკოლო გუნდის თუ მასწავლებლის წარმატების გაზიარება ხდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. გარკვეული მიღწევებისათვის პერსონალს საჯაროდ უცხადებენ მადლობას. სიგელებით აჯილდოვებენ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში მიღწეული წარმატებისათვის. **ინდიკატორი 3.1.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

2.ხარისხის განვითარების პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება **(26.12.2025 წ. ბრძანება N52)**

3.საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ბრძანება **(05.09.2025 ბრძანება N54)**

4.ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**
**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზნით სკოლა გეგმავს შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რის შემდეგაც ხდება უკუკავშირის მიწოდება. საგაკვეთილო პროცესზე დასწრება ორიენტირებულია თითოეული მასწავლებლის მხარდაჭერაზე. უკუკავშირიდან გამომდინარე დირექცია მასწავლებლებს სთავაზობს აქტივობებს. **ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**
არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის დირექცია ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ისინი პერსონალს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ტრენინგების შესახებ. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, მუდმივი ინტერნეტით და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას ნებისმიერ დროს დაესწრნენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. **ინდიკატორი 3.2.1.3. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალ თანამშრომელს სკოლის დირექტორი წარადგენს თანამშრომლებთან, აწვდის ინფორმაციას სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და შიდა რეგულაციების შესახებ, აცნობს დაკისრებულ ფუნქციებს და სკოლის ინფრასტრუქტურას. თანამშრომლების ინტეგრაციის წესი განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. **ინდიკატორი 3.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ გამოთქმულ ინიციატივებს და შესაძლებლობის ფარგლებში, ეხმარება პროექტების, კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში, რესურსებით უზრუნველყოფის გზით. ინდიკატორი **3.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (26.12.2025 წლის N60 ბრძანება)
2) თანამშრომელთა პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგმაანათლებლო პროცესების რეგულირებისთვის სკოლაში შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო ცხრილი. მასწავლებელთა მორიგების ცხრილი, სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და მიზნები. იგეგმება სკოლის ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესმა. ახალი სტრატეგიული და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, სკოლა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში: ხარისხის მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლის მმართველობითი პროცესები: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესები: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესები: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება , კარიერული განვითარება; ყველა პროცესი აღწერილია დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) - ციკლის მიხედვით. **ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით). სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი სახდელები. სკოლამ წარმოადგინა განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (26.12.2025 ბრძანება N54). **ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები (26.12.2025 წლის ბრძანება N57). სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელშიც არის გაწერილი პერსონალის უფლება-მოვალეობები. სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებშიც განსაზღვრულია დასაქმებულის სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი

წარმომადგენლები არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. **ინდიკატორი 3.3.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (26.12.2025 ბრძანება N54).

2.შინაგანაწესი

3.პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები **(26.12.2025 წლის ბრძანება N57).**

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში არის ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი პრაქტიკა. კერძოდ, საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სასკოლო საზოგადოებას გადაეცემა ინფორმაცია სკოლაში არსებული რეგულაციების, მშობელთა კრებების, ღია კარის დღეების, ექსკურსიების, სასკოლო ღონისძიებების შესახებ მშობელთა კრებებზე. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელი, ისე ელექტრონული ფოსტა და კითხვარები. **ინდიკატორი 3.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეული წევრის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი. სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კოლეგიური ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლებების სწორი დელეგირება. წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი

ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.3.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

**სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. ყველა კამერა მუშა მდგომარეობაშია. კამერები განლაგებულია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. დასვენებებზე სისტემატურად ხორციელდება სკოლის პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება პასუხისმგებელი პირის მიერ. ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებელები. დერეფანში და სამასწავლებლოში გამოკრულია მორიგეობის განრიგი. სკოლის შენობის დაცვას ღამის საათებში უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლაში შექმნლილია მრჩეველთა საბჭო. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებელი ამყარებს კომუნიკაციას მშობელთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა არ შეატყობინა დამრიგებელს მოსწავლის გაცდენის შესახებ. სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლის ეზოს აქვს ჭიშკარი, ღობის მთლიანობა არ არის დარღვეული. ხარვეზი: ა)სკოლის (ჩრდილისუბნის შენობისთვის) არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად გადმოაგზავნა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

**რჩევა:**

1)სასურველია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდეს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი.

2)სასურველია სკოლამ დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

**რეკომენდაცია:**
ა)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2027 წლის 1 იანვრამდე) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (ორივე შენობისათვის ).

ბ)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 30 მაისამდე) შეათნხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან.

**ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ასევე სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების ყველა ინვენტარით და მედიკამენტით.
ხარვეზი: სკოლას არ ჰყავს ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას გაუწევს სასკოლო საზოგადოებას. სკოლა შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმით აცხადებს, რომ ხარვეზს აღმოფხვრის 01.01.2027 წლისთვის.

**რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (01.01.2027 წ.) დაასაქმოს ექიმი/ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას გაუწევს სასკოლო **ინდიკატორი 3.4.1.2 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლაში არსებობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია შემდეგი მექანიზმებით:ა) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსთვის დაწესებულია სკოლის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი (სკოლის შენობაში, სკოლის ეზოში); ბ) სკოლაში მანდატურის სამსახური არ ფუნქციონირებს, მაგრამ სკოლას ჰყავს ბრძანებით გამოყოფილი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; გ) სკოლაში ეწყობა

საინფორმაციო შეხვედრები (კლასის დამრიგებელი, სხვა მოწვეული პირი საჭიროების შემთხვევაში). **ინდიკატორი 3.4.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. დამრიგებლების მიერ რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსთვის დაწესებულია სკოლის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი (სკოლის შენობაში, სკოლის ეზოში). სკოლაში მანდატურის სამსახური არ ფუნქციონირებს, მაგრამ უსაფრთხოებაზე მუშაობას მონიტორინგს უწევს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (27.02.2019 წლის N15 ბრძანება). **ინდიკატორი 3.4.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის დირექციამ წარმოადგინა სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ 26.12.2025 წლის N64 ბრძანება. სკოლას გააჩნია სკოლის გეგმარებასა და ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი. დასუფთავების გრაფიკის დადგენისას გათვალისწინებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და გენერალური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. მომარაგებულია სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით.

**ინდიკატორი 3.4.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში ბრძანებით არის გამოყოფილი პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კლასის ხელმძღვანელები, საჭიროების შემთხვევაში,

სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტოებს აქვეყნებენ მშობლების თანხმობით. კლასის კრებებზე არ ხდება კონკრეტული მოსწავლის აკადემიური მოსწრების საჯარო განხილვა. **ინდიკატორი 3.4.1.6 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას იცავს კანონით დადგენილი წესით. სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება, მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და მოცულობით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და დაცულია. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში.
**ინდიკატორი 3.4.1.7 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**
   არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ 26.12.2025 წლის N64 ბრძანება
2. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის (27.02.2019 წლის N15 ბრძანება) დანიშვნის ბრძანება

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**
**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სწავლება მიმდინარეობს ორ სასწავლო შენობაში (სოფელ ხარებაში და სოფელ ჩრდილისუბანში), სკოლა აღჭურვილია საჭირო ავეჯით (ორივე შენობა), სკოლის შიგნით მოწყობილია სველი წერტილები (ორივე შენობა), სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო (ორივე შენობა). სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი (სოფელ ჩრდილისუბნის შენობა). სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი, მაგრამ გამოყოფილია დიდი ოთახი, რომელიც ასრულებს სპორტული დარბაზის და სააქტო დარბაზის ფუნქციას. სკოლას აქვს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მცირე რესურსებით, იაფი მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას.
**ინდიკატორი 3.5.1.1 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის ტექნოლოგიური სივრცეები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მასწავლებლები და მოსწავლეები. რადგანაც სკოლაში არ არის სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი, სკოლას გამოყოფილი აქვს დიდი ოთახი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სპორტული და სხვა აქტივობებისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

### 3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით (26.12.2025 წლის N62 ბრძანება). სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. იგი აღჭურვილია მხატვრული და სასწავლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით (გაზეთები, ბროშურები). ბიბლიოთეკა ღიაა სწავლის პერიოდში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია სარგებლობა. სკოლამ წარმოადგინა კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი 3.5.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

### 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლას აქვს ორი შენობა. ერთი მდებარეობს სოფელ ხარებაში, მეორე მდებარეობს სოფელ ჩრდილისუბანში. სოფელ ხარებაში მდებარე შენობას აქვს პანდუსი, შენობა არის ერთსართულიანი. შენობაში არის ადაპტირებული საპირფარეშო. სოფელ ჩრდილისუბანში მდებარე შენობა არის ერთსართულიანი. სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რადგან სოფელ ჩრდილისუბანში მდებარე შენობას არ აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელი ეგრეთწოდებული პანდუსი. ორივე სოფელში მდებარე სასკოლო საპირფარეშო არის კეთილმოწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ხარვეზი: სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რადგან სკოლას არ აქვს პანდუსი (სოფელ ჩრდილისუბანში მდებარე შენობა). სკოლის დირექცია შესაბამისობის აღმოფვრის გეგმით აცხადებს სოფლი ჩრდილისუბნის საჯარო სკოლაში 15.09.2026 წლისთვის მოაწყობს პანდუსს (ჩრდილისუბნის შენობა).

**რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (15.09.2026) მოაწყოს პანდუსი (სოფელი ჩრდილისუბნის შენობა).**

**ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

### 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია, შენობაში არის ნათელი დერეფნები, რომელიც გამოიყენება საგამოფენოდ. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი (სოფელი ჩრდილისუბნის შენობა) და კეთილმოწყობილი ეზო. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ აქვს დიდი ზომის ოთახი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისთვის. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას. **ინდიკატორი 3.5.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ბიბლიოთეკის დებულება (26.12.2025 წლის N62 ბრძანება).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას უზრუნველყოს სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტით, კომპიუტერებით. სკოლაში მოქმედი 7 კომპიუტერია, აქედან 1 ლეპტოპია. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. სკოლას აქვს 2 პროექტორი, 3 პრინტერი. სკოლის ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ეხმარება საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ წარმართვაში, სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. მასწავლებლები იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი 3.6.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შუძლიათ ისარგებლონ IT ლაბორატორიით გაკვეთილების დასრულების შემდეგ. სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნებისთვის ციფრულ ტექნიკას. მაგ.; პრეზენტაციებისა და კონფერენციების მოსამზადებლად. **ინდიკატორი 3.6.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება

2.მიღება-ჩბარების აქტები

3.მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისმწარმოებლის წესი (26.12.2025 წ. ბრძანება N58). აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას და აღრიცხვას დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად და სასკოლო რეგულაციების მიხედვით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. ბრძანებები ტარდება სპეციალურ ჟურნალებში. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებების ჟურნალები. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. ყველა შემოსული დოკუმენტი იტვირთება eflow-ს დოკუმენტბრუნვის სისტემაში. **ინდიკატორი 3.6.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - სკოლა იყენებს ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემას (E-school.emis.ge). სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow). როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის სკოლა იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა office 365. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.6.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, მონაცემები მასწავლებელთა დატვირთვის შესახებ, საათობრივი ბადე, კლასის სიები, დამრიგებლები, საგნების განაწილება. **ინდიკატორი 3.6.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის და ღებულობს, ანგარიშებსა და უკუკავშირს, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უგზავნის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე 20 ნოემბრამდე შესყიდვების

გეგმას არეგისტრირებს spa.ge-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე. ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი 3.6.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
2. საქმისწარმოების წესი **(26.12.2025 წ. ბრძანება N58)**

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლას აქვს გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge, რომელიც გამოიყენება საზოგადოების ინფორმირებისათვის. სკოლა იყენებს ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის სკოლის ელექტრონული ფოსტას. სკოლის ვებ გვერდია: https://skolebi.emis.ge/schools/2277?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

**ინდიკატორი 3.6.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლას აქვს ვებ გვერდი და სოციალური ქსელი.

გავრცელებული ინფორმაცია არის დირქციასთან შეთანხმებული, სანდო და უტყუარი. სკოლას დირექტორის ბრძანებით დაამტკიცებული აქვს ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი (26.03.2026 წ. ბრძანება N6). **ინდიკატორი 3.6.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი. ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია შემდეგი ინფორამცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის ვებ გვერდი / სკოლის სოციალური ქსელი

2.ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი (26.03.2026 წ. ბრძანება N6)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელიც სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა გასული წლის დეკემბერში. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით, ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი; დირექტორის ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი 3.7.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ბიუჯეტს შეიმუშავებს შემოსავლებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, რაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების წევრებთან ზეპირი კომუნიკაციის გზით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია გასულ წლებში განხორციელებული შესყიდვების გათვალისწინებით.

საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით, წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე.

**ინდიკატორი 3.7.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

2. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

3. ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. შინაგანაწესი ეყრდნობა მოსწავლეთა ქცევის კოდექსს და ბავშვთა უფლებების კონვენციას. შინაგანაწესში დაწვრილებით არის აღწერილი მოსწავლეთა წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი. ყველა მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება. სკოლის მოსწავლეები წარმოდგენილნი არიან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში და მონაწილეობას იღებენ სკოლის მართვაში. მშობელი და მოსწავლე, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ჩართული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. **ინდიკატორი 4.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია საკოლო საზოგადოებისთვის. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლის მიერ ხდება მშობელთათვის სასკოლო სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლაში დასაქმების შემთხვევაში, ყველა პირი ვალდებულია ხელმოწერით დაადასტუროს, რომ გაეცნო სკოლის შინაგანაწესს. ასევე კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია ახალგადმოსულ მოსწავლეს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი. **ინდიკატორი 4.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები შედგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება სკოლას და მეორე გადაეცემა ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს. ხელშეკრულების მოქმედების ვადად ითვლება მოსწავლის სკოლაში სწავლის პერიოდი. **ინდიკატორი 4.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.შინაგანაწესი

2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება (26.12.2025 N57)
3.ხელშეკრულებები

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად. პირვლ ეტაპზე რეგისტრირდებიან სსსმ მოსწავლეები. ჩვენს სკოლაში პირველ კლასში არ დარეგისტრირებულა სსსმ მოსწავლე. მეორე ეტაპზე ირიცხებიან მოსწავლეები რომელთა და- ძმა სწავლობს სკოლაში ან მშობელი არის დასაქმებული. ხოლო მესამე ეტაპზე ე. წ. საყოველთაო რეგისტრაცია ხორციელდება ონლაინ registration.emis.ge ვებგვერდის გამოყენებით. ხოლო დოკუმენტაციის მიღება ხორციელდება კანონით განსაზღვრულ ვადებში. მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება მომართვის დადასტურება და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა. **ინდიკატორი 4.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მშობელს მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე ეგზავნება გაფრთხილება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მისი შვილის სკოლაში გამოუცხადებლობას. მშობელი ეცნობა აღნიშნულ დოკუმენტს და ადასტურებს ხელმოწერით. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, მოსწავლეს შეუჩერდება სტატუსი და კლასის ხელმძღვანელი მშობელს აწვდის ინფორმაციას, რომ მის შვილს შეუჩერდა სტატუსი. მოსწავლეთა მიერ საბაზო თუ საშუალო საფეხურის დამთავრებისთანავე, იკრიბება პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც იღებენ გადაწყვეტყვეტილებას საფეხურის დაძლევის შესახებ. პედსაბჭოს დადგენილების შესაბამისად იწერება ბრძანება. ინფორმაცია ეცნობება მშობელს. მშობლები და მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან მობილობის წესების შესახებ. ექსტერნის გამოცდები ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ყველა წესისა

და რეგულაციის დაცვით. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება ევალება საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი 4.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები საჯაროა და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია სერვისების/მომსახურების სახეებისა და პირობის, პროგრამების შესახებ განთავსდება საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნული ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისათვის მისაწოდებლად გამოყენებულია სოციალურ ქსელში სკოლის მოსწავლეებისა და კლასის ხელმძღვანელების დახურეული ჯგუფები. სკოლაში ფასიანი მომსახურება არ არის რეგისტრირებული. **ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ყველა სიახლე სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, მუდმივად განახლებადია და განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ვებ. გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რაც დასტურდება არსებული დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 4.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა ბრძანება სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების თაობაზე. სკოლა ქმნის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ გარემოს. პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეების მშობლებს სასწავლო პროცესის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი, ხდება მათი მხრიდან ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეთა შესახებ. სასწავლო წლის დაწყების დღეს სკოლის დირექცია პირველკლასელებს საზეიმო ვითარებაში გადასცემს სახელმძღვანელოებსა და ბუკებს. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას როგორიცაა სველი წერტილები, საერთო სარგებლობის სივრცეები. აცნობენ ქცევის წესებს. საკლასო ოთახში უქმნიან საზეიმო განწყობას, გეგმავენ ღონისძიებას. სხვა სკოლიდან მობილობის განხორციელების შემთხვევაში სკოლაში ახალგადმოსულ მოსწავლეს ხვდება თბილი, სასიამოვნო გარემო. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აცნობს მას სკოლის ინფრასტრუქტურას, შინაგანაწესს. ყველა კლასის ხელმძღვანელი ახალგადმოსულ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, მათ შორის არაფორმალურ გარემოში, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის ახალ გარემოში ადაპტაციის პროცესს. მასწავლებლები ეცნობიან ახალგადმოსული მოსწავლის შეფასებებს, რათა გაითვალისწინონ მოსწავლის შესაძლებლობები.
**ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკისთვის შესაბამისი ზომის ავეჯით. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მათი ასაკის შესაბამისი სასკოლო მერხებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, პანდუსი. სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმოამდგენელს ხვდება კლასის ხელმძღვანელი და დირექციის წარმომადგენელი. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს. **ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლეები სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას იღებენ მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის დირექციის მხრიდან. მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები ყოველთვის წინასწარ არიან ინფორმირებული შემაჯამებელი წერების შესახებ, შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები, ძირითადად დაკვირვების ან ტესტების საშუალებით ადგენს მოსწავლის საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს მასწავლებლები რეგურალურად აწვდიან მოსწავლეებს განმავითარებელ უკუკავშირს. დაწყებით კლასებში სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები წერენ განმავითარებელ კომენტარებს, რომლებშიც მითითებულია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, გაცემულია რეკომენდაციები. მოსწავლე, რომელსაც სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმობესებისთვის, იღებს მხარდაჭერას დამატებითი მეცადინეობების ხარჯზე.

**ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსის შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია მშობლებისთვის განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. ინფორმაციას დამრიგებლები აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლის მობილობა, ინფორმირება, ცნობის გაცემის ვადები დაცულია.

**ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები. სკოლის დირექციამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ხორციელდება პროექტები, სპორტული ატივობები. **ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და დაინტერესებულ პირთა მიერ გაცემულ უკუკავშირს. მოსწავლეებისა და მათი მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირი არის ზეპირი, წერილობითი. სკოლა გეგმავს უკუკავშირის ანალიზისა და მიღებული შედეგების მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის გამოყენების მწყობრი მექანიზმის შემუშავებას. **ინდიკატორი 4.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

………………………………………………………………………

………………………………………………………………………

………………………………………………………………………

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის განვითარებას. კლასის დამრიგებელი კლასის საათზე

ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე. მოსწავლეები ავსებენ პროფესიული ორიენტაციის კითხვარებს. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. **ინდიკატორი 4.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლის დირექტორმა, მასწავლებლებმა, მშობლებლმა და მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალ საფეხურზე გადასვლისას სკოლა ხვდება და აწვდის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, როგორც ცალკე მოსწავლეებს, ასევე მშობლებსა და მოსწავლეებს ერთობლივად. **ინდიკატორი 4.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის გაუმჯობესებაზე და შეფასებასა და უკუკავშირს იყენებს მომსახურეობის გაუმჯობესების პროცესში. სასკოლო საზოგადოებასთან უკუკავშირი ხშირად ხორციელდება ზეპირი სახით ინფორმაციის გადაცემით ან მასწავლებლების დაკვირვების შედეგად. სკოლის მიერ შეთავაზებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები დადებითად იყო შეფასებული მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან.

**რჩევა**: სასურველია, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლამ აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა, შედეგების ანალიზის დოკუმენტირება და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.

**ინდიკატორი 4.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სადამრიგებლო პროგრამები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში სწავლობს ერთი სსსმ მოსწავლე. სკოლის დირექციამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი(26.12.2025 წლის N68ა ბრძანება). სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. **ინდიკატორი 4.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში შექმნილია სსსმ მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემო. რესურსოთახები მოწყობილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო მასალით. სკოლაში ირიცხება სსსმ მოსწავლე. მისთვის დაკომპლექტებულია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორს საგნების მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი, ისე მოსწავლის მშობელი. ისგ ჯგუფი იკრიბება წელიწადში 4-ჯერ და განიხილავს სსსმ მოსწავლის სწავლების სტრატეგიებს, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის პროცესში. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექციის ორგანიზენით გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სსსმ მოსწავლის მშობელთან, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში მშობლის ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. **ინდიკატორი 4.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი(26.12.2025 წლის N68ა ბრძანება)

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) რომელიც საჭიროებს შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღებას. **ინდიკატორი 4.2.4.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. **ინდიკატორი 4.2.4.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და

რეგულაციების შესრულებას უზრუნველყოფენ სკოლის დირექცია და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი 4.2.4.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.შინაგანაწესი

2.უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2<br><br>**სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*<br>☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| | |

| **სტანდარტი 2**<br><br>**სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*<br>**☐ შეესაბამება**<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2**<br><br>**სასკოლო კურიკულუმი**<br>(საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*<br>**☐ შეესაბამება**<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
|---|---|

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **X შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია შესაძლებლობას იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესი და შეხედულებები იქნას გათვალისწინებული. მოიცავს ჩართული მხარეების, სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლებიის მონაწილეობას ამ პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მორგებულია თემის საჭიროებებსა და თავისებურებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი კურიკულუმი, ასევე ჩატარებული გასაუბრებები სასკოლო საზოგადოებასთან, ადასტურებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოებას შეაქვს საკუთარი რესურსი კურიკულუმის დანერგვის, გადახედვით პროცესშიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, როგორც ფიზიკური ისე ელექტრონული ფორმატით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. ბრძანება მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

### 1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კათედრაზე შემუშავებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და განვითარების ეტაპები მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზისა და პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ კათედრაზე შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის |

| | |
|---|---|
| | მოთხოვნების შესაბამისად და შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, კერძოდ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების, ინტერესებისა და განვითარების დონის შესაბამის სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას, რომლის დროსაც სწავლა-სწავლების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართულობაზე, დამოუკიდებელი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სასურველია განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, რომელშიც გაძლიერებული იქნება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები. |
| უცხოური ენები | წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი თემები და კონტექსტი, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას |

| | |
|---|---|
| | გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზი და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. შუალედური მიზნების შესამოწმებლად გამოყენებული დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების ეტაპების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალებების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სასწავლო პროცესის მიზნობრივ წარმართვას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სამივე საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები საჭიროებს სტილისტურ და შინაარსობრივ დაზუსტებას. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი იღებს დავალების ან აქტივობის ფორმას, ზოგჯერ კი საკითხების ჩამონათვალს ჰგავს ან ზედმეტად ზოგადია და არ არის დაკონკრეტებული. რეკომენდებულია, კონტექსტ-მაგალითები ჩამოყალიბდეს იმავე ფორმატით, როგორც ეს წარმოდგენილია პირველი კლასის კურიკულუმის პირველ თემაში.<br><br>*პროექტული სწავლების მუსიკის კურიკულუმში საჭიროა კონტექსტ-მაგალითების დამატება. რეკომენდებულია, სკოლამ იხელმძღვანელოს თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებით და შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები შეავსოს იგი.* |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას, დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| მათემატიკა | კურიკულუმი აშკარად ორიენტირებულია მოსწავლეზე და ითვალისწინებს მის საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სწავლაში და მონაწილეობენ ცოდნის კონსტრუირებაში. ეს განსაკუთრებით ჩანს პროექტულ და კომპლექსურ დავალებებში (მაგ. „მათემატიკა პრაქტიკაში“), სადაც მოსწავლეები თავად ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს.<br><br>გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები და დიფერენცირებული მიდგომები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. სწავლება ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების განვითარებაზე — განსაკუთრებით პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ თემების შერჩევა განხორციელდა მოსწავლეთათვის ნაცნობი და მათ ასაკობრივ თავისებურებებთან შესაბამისი საკითხების გათვალისწინებით, რაც ზრდის მათ ჩართულობას და მოტივაციას. კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება, რაც საბოლოოდ ქმნის ეფექტურ, დინამიკურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების/მასწავლებლის მიერ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II–VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების დანერგვას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარებას. კურიკულუმი მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ეს ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებას და ინტეგრირებულ სწავლებას.<br><br>ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა/მასწავლებელმა ხაზი გაუსვეს კომპლექსური დავალებების მნიშვნელობას და აჩვენეს, რომ კარგად აქვთ გააზრებული ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების გამოყენება. ისინი |

| | |
|---|---|
| | აქტიურად იყენებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებენ გამოწვევებს და აფასებენ მიღწეულ დადებით შედეგებს.<br><br>კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას, ასევე სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს, ხოლო სწავლება ორიენტირებულია მოსწავლის მოტივაციასა და მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე.<br><br>კურიკულუმი მიმართულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი ფორმირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს როგორც შემოქმედებითი, ისე ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას.<br><br>რჩევა: სასურველია ზოგიერთი კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეა მეტად დააკონკრეტონ, გახადონ მეტად მკაფიო და გასაგები. (school.emis.ge-ს შესაბამისი კომპლექსური დავალების ბმულის ჩასმის ნაცვლად, დაიწეროს უშუალოდ კომპ.დავალების იდეა)<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია შუალედური მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტმაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. თუმცა, ბუნებისმეტყველები მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში, კურიკულუმში შეტანილია ისეთი თემები, რასაც სტანდარტი არ ითვალისწინებს, ამიტომ **სკოლას მიეცა რჩევა ბუნებისმეტყველებაში მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმების გასწორების. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველოს კურიკულუმებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო მიზნები და კურიკულუმები ფარავს |

| | |
|---|---|
| | სავალდებულო თემებს და საკითხებს, მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის საგობრივი კურიკულუმების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კერძოდ: კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების, თემების, საკითხების და საფეხურზე სწავლების მისაღწევი შედეგების გააზრების კონტექტში. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოციდლებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; თითოეული საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურების და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმები რევიზია, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თითოეული საკითხის, შემოქმედებითი დავალების - არა ერთობლივად ყველა სამიზნე ცნების გათვალისწინებით დაგეგმვა, არამედ ღრმად იქნას გააზრებული თითოეულ საკითხში ორი ან სამი სამიზნე ცნება; |
| უცხოური ენები | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, |

| | |
|---|---|
| | განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმართულია სამიზნე ცნებების საფუძველზე მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების ეტაპებს.<br><br>კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები გეგმავენ საქმიანობას, თანამშრომლობენ, აკეთებენ დასკვნებს და ახორციელებენ რეფლექსიას, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.<br><br>თუმცა, რიგ შემთხვევაში კურიკულუმებში, მიუხედავად იმისა, რომ მუშავდება თემის ფარგლებში, არ არის მითითებული ჩარჩოში სამიზნე ცნებები სრულად, ასევე არ არის არ არის |

| | |
|---|---|
| | მითითებული შესაბამისი ქვეცნებები, ასევე საჭიროებს დაზუსტებას შემოქმედებითი დავალებების ფორმულირება, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლის საქმიანობა და მოსალოდნელი შედეგები.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების IV კლასის კურიკულუმის მეორე თემაში მისათითებელია ქვეცნება — „სახვითი ხელოვნების ჟანრები და დარგები“. V და VI კლასების კურიკულუმებში, მეორე და მესამე თემებში, დასამატებელია ცნება — „სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“. დაწყებით და დასაბზო საფეხურზე, IV კლასის კურიკულუმის მსგავსად, ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში დაკონკრეტდეს ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ თემის ფარგლებში მუშავდება.<br><br>დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებითი დავალებები ჩამოყალიბდეს მკაფიო და სრულყოფილი სახით, რადგან ამჟამად ისინი ძირითადად მოკლე ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი. მიზანშეწონილია, თითოეულ თემაში მოცემული იყოს კონკრეტულად ფორმულირებული დავალება, სადაც გამოიკვეთება მოსწავლის საქმიანობა და მოსალოდნელი შედეგი.<br><br>ასევე, პროექტული სწავლების კურიკულუმში პროექტის იდეა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, რათა ნათლად გამოიკვეთოს მოსწავლის საქმიანობა და მოსალოდნელი შედეგი. |

| | |
|---|---|
| | დაწყებით და საბაზო საფეხურზე მუსიკის საგანში სკოლამ იხელმძღვანელოს თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებით. მესამე კლასის კურიკულუმი შემუშავდეს სხვა კლასების მსგავსად, მათ შორის, უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნებებისა და შესაბამისი რესურსების მითითება.<br><br>პროექტული სწავლების კურიკულუმში პროექტის იდეების ნაცვლად წარმოდგენილია საკითხები, რის გამოც საჭიროა მათი დაზუსტება და პროექტის იდეების მკაფიოდ მითითება. მნიშვნელოვანია, პროექტის იდეა ჩამოყალიბდეს ისე, რომ წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც ხელს შეუწყობს დავალების მიზნის უკეთ გააზრებას და სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას. ასევე, მითითებული იყოს ის ცნებები, რომლებიც მუშავდება პროექტის ფარგლებში. |
| სახელმწიფო ენა | ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტებიც, მაგალითად, მერვე კლასში განუხორციელებიათ პროექტი “რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა”, ხოლო მეცხრე კლასში |

| | |
|---|---|
| | ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების სწავლებისას ყურადღება გაუმახვილებიათ საკითხზე “ზედი ქართლისა - ისტორიული არჩევანი”. მსგავსი აქტივობები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეებს მუდმივად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და განუვითარდეთ მრავალმხრივი უნარები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობა, კერძოდ, სამიზნე ცნება წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა არ არის დამუშავებული, რასაც ხაზი გაესვა ინტერვიუს დროსაც, ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ ჯგუფს მიეცა რჩევა, რომ შეიტანოს შესაბამისი შესწორება კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** პირველი კლასის კურიკულუმი უნდა ჩასწორდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მასში უნდა ჩანდეს სამიზნე ცნება წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა და მისი დამუშავებისთვის შესაბამისი შემოქმედებითი დავალებები. |
| მათემატიკა | კურიკულუმი სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მასში სწორად არის განსაზღვრული სამიზნე ცნებები, თემები და საკითხები, რომლებიც ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. სწავლება ორიენტირებულია როგორც ცოდნის მიღებაზე, ისე მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმში შერჩეული აქტივობები და დავალებები (მათ შორის პროექტული და კომპლექსური დავალებები) პირდაპირ ემსახურება დასახული მიზნების მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგებზე გასვლას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ითვალისწინებს შუალედური მიზნებით გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. ყველა თემას ახლავს დავალების იდეა - შიდა სასკოლო ან საკლასო სპორტული ფესტივალი. როგორც შიდა სასკოლო, ასევე საკლასო სპორტული ფესტივალების განხორციელებით გარდა იმისა, რომ მასწავლებელი ფიზიკური უნარების განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ასევე ავითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხებს შორის კავშირები და საგნის მიზნობრივი დანიშნულება. კომპლექსური დავალებები მიმართულია კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორიგინალური და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული აქტივობები. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით ტარდება |

| | |
|---|---|
| | პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.<br><br>ინტერვიუში მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ეტაპები და პროცესი. მათი დაგეგმვისას გათვალისწინებულია სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მათთან შესაბამისობაშია.<br><br>კურიკულუმისა და ინტერვიუების ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების მნიშვნელობა - ისინი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი სწავლის გაძლიერებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტური სტრატეგიების განვითარებას<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით.<br><br>კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები - ცნებები, თუმცა ზოგიერთ საგანში, კარძოდ ქართულში, I კლასში, კურიკულუმში არ არის შეტანილი “წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა”, ასევე საანბანო პერიოდში “კოდირება-დეკოდირება”. ასევე მათემატიკის კურიკულუმში ცნებები არასწორადაა შეტანილი I და II კლასში. ყოველივე ამაზე |

| | |
|---|---|
| | გასაუნრებაზე მიეცა კათედრას რჩევა, თუმცა დამატებით დოკუმენტაციაში არ გასწორებულა. ვინაიადან სხვა კლასებში ცნებები სწორადაა ასახული, სკოლას მიეცა **რჩევა გაასწოროს ქართულის I კლასი და მათემატიკის I და II კლასის კურიკულუმი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

2. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში მითითებული რესურსები მიზნობრივადაა შერჩეული, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**რჩევა:** სასურველია ფიზიკის ყველა კურიკულუმში მითითებული იყოს ელექტრონული და მატერიალური რესურსები. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესში სამივე საფეხურზე გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, საერთო ჯამში, შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსები მოიცავს როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე |

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო საშუალებებს, კერძოდ როგორიცაა სახელმძღვანელოები, რუკები, დამატებითი სასწავლო მასალები, ასევე ციფრული პლატფორმები, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ინტერესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br><br>**რჩევა:** სასურველია რესურსების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას, რომ რესურსების გამოყენება ზოგ შემთხვევაში საჭიროებს უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვასა და დიფერენცირებულ მიდგომას, რათა სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. |
| უცხოური ენები | კურიკულუმებში სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც მოსწავლეებს ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.<br><br>**რჩევა:** სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას და სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი  აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ყველა თემაში მიეთითოს  მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში. მიზანშეწონილია, მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, ხოლო მუსიკის კურიკულუმებში - მოსასმენი მასალის შესაბამისი ბმულები. ასევე სასურველია ბმულების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა ისინი ტექნიკურად გამართული და ხელმისაწვდომი იყოს. |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, გარდა ამისა, დოკუმენტაციაში ასახულია, რომ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას კათედრა ხშირად იყენებს ონლაინ- |

| | |
|---|---|
| | რესურსებსაც, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო და ხელი შეუწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| მათემატიკა | კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეულია, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. გამოყენებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე და ელექტრონული რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია თემებთან და ხელს უწყობს ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. რესურსებს ახლავს მკაფიო ინსტრუქციები, რაც ზრდის მათ ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში.<br><br>განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი რესურსები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს რთული ცნებების გააზრებას (მაგ. სივრცულ ფიგურებზე შექმნილი მასალები) და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| სპორტი | კურიკულუმებში თითოეულ თემასთან დაკავშირებით მასწავლებელს განსაზღვრული აქვს მრავლფეროვანი რესურსები: სახელმძღვანელოები, პრეზენტაციები, გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია ლინკების სახით. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის, ინტერესისა და აქტიური ჩართულობის გაზრდას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს დასახული სასწავლო მიზნების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და მითითებულია გვერდები. ასევე ზოგიერთ საგანში მითითებული აქვთ ელექტრონული ბმულები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმების დათვალერებისას და პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ამას მოწმობს არაერთი შემოქმედებითი დავალების ამსახველი მოსწავლეთა ნაშრომები, სკოლის სოციალურ ქსელში გაზიარებული აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, სასწავლო პროცესის ამსახველი მასალებისა და შეფასების დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და მოიცავს დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს. თუმცა, დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა საჭიროებს მეტ სისტემატიზაციას. პედაგოგებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის ტემპი, რაც ხელს უწყობს უფრო თანასწორი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სასურველია საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს. |
| უცხოური ენები | სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას, ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (პრეზენტაცია, პოსტერი, განრიგი, ესე და სხვ.), რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი ინკლუზიურობა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. დოკუმენტში გაწერილია მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიდგომები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას და იძლევა შესაძლებლობას, სწავლება იყოს მორგებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ინტერესებსა და განვითარების დონეზე. აღნიშნული ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომ და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში დანერგილია ინკლუზიური მიდგომები, რომელთა მიზანია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ენასა და |

| | |
|---|---|
| | ლიტერატურაში მისი სასწავლო გეგმა იყოს მოდიფიცირებული. ასევე, დოკუმენტურად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებლები ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებასაც, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:**<br><br>სახელმწიფო ენის მიმართულებით მოწესრიგდეს და დოკუმენტურად გაიწეროს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.<br><br>სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახება ის აქტივობები, რომლემსაც კათედრა ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი სკოლაში მთლიანად ეფუძნება ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო საქმიანობა ორგანიზებულია ისე, რომ ყველა მოსწავლე, მათ შორის განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, აქტიურად მონაწილეობს სწავლის პროცესში. ამ მიზნისათვის სკოლაში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები — ინდივიდუალური დავალებები, ჯგუფური პროექტები, პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა საგნობრივ და სასწავლო საჭიროებებზე.<br><br>დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს ყურადღება გაამახვილოს თითოეული მოსწავლის უნარებსა და სირთულეებზე. მაგალითად, პროექტული სწავლების პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება |

| | |
|---|---|
| | დამოუკიდებლად იკვლიონ პრობლემები, მოძებნონ გადაწყვეტის გზები და გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი, რაც ხელს უწყობს როგორც ცოდნის, ასევე უნარების განვითარებას. მსგავსი მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინტერაქტიურობას და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებლობის გაზიარებას.<br><br>სასწავლო პროცესში წარმოდგენილია ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რაც დამატებით უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებულ სწავლებას. შეფასების სისტემაც მხარს უჭერს დიფერენცირებულ მიდგომებს — გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რუბრიკები და შემაჯამებელი ანალიზები, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს გააცნობიეროს საკუთარი პროგრესი და მიიღოს ინდივიდუალური მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში.<br><br>გარდა იმისა, რომ სწავლება ინკლუზიურია, იგი ასევე ხელს უწყობს შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობას. განვითარების მიმართულებად რჩება დიფერენცირებული სტრატეგიების უფრო დეტალური დოკუმენტირება და ინდივიდუალური პროგრესის სისტემატური მონიტორინგი, რათა ყველა მოსწავლე მაქსიმალურად ისარგებლოს სასწავლო პროცესით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| სპორტი | მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თითოეული მოსწავლე ჩართული იყოს სასწავლო პროცესში. ინტერვიუზე ცხადი გახდა, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის მზაობა და |

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო საჭიროება. ასევე შეუძლიათ დავალების მოდიფიცირება და ფიზიკური აქტივობების მოსწავლის უნარებსა და ინდივიადუალურ შესაძლებლობებზე მორგება.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების" კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, მასალა და ელ. რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას.<br><br>ინტერვიუში პედაგოგებმა/პედაგოგმა აღნიშნეს/აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს. მათ აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება, როგორც საშუალება სწავლის გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმა, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის დოკუმენტები, სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესების და თავისებურებების გათვალისწინება.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, მათ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, გამოგზავნილია ისგ რამდენიმე საგანში, თუმცა არეულია ცნებები და თემები, ამიტომ კათედრას მიეცა **რჩევა გაასწოროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |

**4. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. პირველადად წარმოდგენილი და დამატებით მტკიცებულების ნუსხაში შეფასებების რუბრიკები იყო მრავალფეროვანი.<br><br>**რჩევა:** სასურველია კათედრაზე შეთანხმებულად შემუშავდეს შეფასების ერთიანი ფორმა, რომელშიც სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების დონე უფრო გაზომვადი იქნება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან განხორციელებულოი ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში განხორციელებული შეფასების სისტება ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. კერძოდ: მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. |

| | |
|---|---|
| | შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შემუშავებულია შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები ახორციელებენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასების კრიტერიუმები კორელაციაშია სამიზნე ცნებებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების რევიზია და დახვეწა. ასევე მოსწავლის თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების წახალისება. ასევე სასურველია კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა და წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა. |
| უცხოური ენები | კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ |

| | |
|---|---|
| | ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.<br><br>**რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მოსწავლის შეფასების სისტემა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, ისე მისი განვითარების დინამიკის გამოვლენასა და მხარდაჭერას. შეფასების მიდგომები ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და ხელს უწყობს მისი ჩართულობისა და რეფლექსიის უნარების განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკები, როგორც სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, ისე მუსიკაში, არ იყოს ზოგადი ხასიათის და ყველა კლასში შემუშავდეს |

| | |
|---|---|
| | უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული, მკაფიოდ ფორმულირებული კრიტერიუმებით. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სკოლამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, მაგრამ ისინი ძირითადად აგებული იყო ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, აფასებდა არა კონკრეტულ, არამედ ზოგადი ტიპის აქტივობებს, მიწოდებული რჩევების საფუძველზე, ვიზიტის დროს სკოლამ მოამზადა განახლებული დოკუმენტაცია, ახლიდან წარმოდგენილი რუბრიკები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების მიხედვით, კრიტერიუმები შემუშავებულია სასწავლო შედეგების გათვალისწინებით და მორგებულია კონკრეტულ თემასა და აქტივობებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**<br><br>**რჩევა:** სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში. |
| მათემატიკა | სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება მრავალმხრივია და აერთიანებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ ინსტრუმენტებს. ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების სიღრმისეულ მონიტორინგს, ხოლო პროცესში მათი პროგრესის სისტემატური შეფასება ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. |

| | |
|---|---|
| | შეფასების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები: რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზები, სადიაგნოსტიკო დავალებები და ინდივიდუალური მოსწავლეების პროგრესის ანალიზი. პროექტული და კომპლექსური დავალებების მაგალითები, როგორიცაა „მათემატიკა პრაქტიკაში" ან „ჩემი სამზარეულო", ნათლად ასახავს იმას, რომ შეფასება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ უნარებისა და პრაქტიკული გამოყენების განვითარების შეფასებასაც მოიცავს.<br><br>მოსწავლეები არიან ჩართულნი შეფასების პროცესში, მათ შეუძლიათ საკუთარ შედეგებზე თვითანალიზის ჩატარება და დასახული მიზნების განხორციელების მიმართულებით წინსვლა. ამ მიდგომით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გაზრდა საკუთარ სწავლებაზე და პროცესზე ორიენტირება.<br><br>განვითარების შესაძლებლობა რჩება თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების პრაქტიკის უფრო სისტემატიზებულ დანერგვაში, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა შეფასების მრავალგანზომილებიანობას და ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა ავტონომიას სწავლის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| სპორტი | მასწავლებლებს თემებთან მიმართებით წარმოდგენილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება ინდივიდუალური მიდგომით, რისთვისაც იყენებენ სიტყვიერ კომენტარს, რჩევა-დარიგებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | აქტივობაზე დაკვირვების შედეგად ჯერ აქცენტი კეთდება მის ძლიერ მხარეზე, შემდეგ ხდება ინფორმაციის მიწოდება და რეკომენდაციების მიცემა შეცდომების გამოსწორების მიზნით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასება წარმართონ სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა/მასწავლებელმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პედაგოგები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს.<br><br>ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკების) ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გაცნობიერებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა როგორც მოსწავლეთა განვითარების, ისე სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი შეფასებისას, ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის.<br><br>რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, იგი ასახავს სწავლის შედეგებს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. აღნიშნული შეფასების ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება პროცესის შემაჯამებლად - თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და სხვა |

| | |
|---|---|
| | ეტაპების დასრულებისას.**ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია დონეების მიხედვით რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. წარმოდგენილი აქვთ მათემატიკის მე-4 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.<br><br>**რჩევა - გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევა, I-IV კლასებში , შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები - “მე და საზოგადოება”, “ჩვენი საქართველო’, “ისტორია”, “საქართველოს ისტორია”, “გეოგრაფია”, “მოქალაქეობა’’;

2.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

3.შემოქმედებითი დავალებები ნიმუში

4.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

5.კათედრის ოქმი;

6.შეფასების სისტემის ერიფიკაციის მექანიზმი;

7.კათედრის სამოქმედო გეგმა;

8.სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესების ამსახველი მასალები შეესაბამება სასკოლო კურიკულუმებს, მოსწავლეთა ნაშრომები კურიკულუმში ასახული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისია. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი კათედრის წევრებს დაგეგმილი აქვთ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლის სწავლაზე აქცენტის გამახვილებით, პედაგოგები ცდილობენ, გაკვეთილების დაგეგმვისას გაითვალისწინონ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული სასწავლო თემები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სტრუქტურირებულობას. მოქმედი კურიკულუმით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, ამ მიზნით მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, ხოლო აფასებენ განმავითარებელი შეფასებით (ვერბალურად). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა:** სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ |

| | |
|---|---|
| | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება კურიკულუმის რევიზიაში და დოკუმენტირებაში. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი ხორციელდება წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილია განხორციელებული კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები და მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.სამივე საფეხურის სასწავლო კურიკულუმი მიემართება სტანდატით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები პრაქტიკაში ახორციელებენ წარმოდგენილ კურიკულუმებს. სკოლაში უზრუნველყოფილია კურიკულუმების განხილვა და გადახედვა. ასევე სკოლამ წარმოადგინა |

| | |
|---|---|
| | გაკვეთილებზე დასწრების ფორმები, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესი ისეა აგებული, რომ ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, რასაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრება ამა თუ იმ შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს. სწავლების ყოველი ეტაპი წინასწარ არის დაგეგმილი, თემები და აქტივობები თანმიმდევრულად აკავშირებს სასწავლო მიზნებსა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას.<br><br>დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მაგალითები, როგორიცაა პროექტი „მათემატიკა პრაქტიკაში“ XI-XII კლასებში, ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიზანმიმართულია, ორგანიზებულია და ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ გეგმას. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავად მოირგონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ამოცანებზე, რაც ზრდის მათ ჩართულობას და უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას.<br><br>განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროექტულ და კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ასახავენ კურიკულუმის თემებსა და მიზნებს, და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შექმნან |

| | |
|---|---|
| | კავშირი თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან დავალების პირობად განსაზღვრულია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალებისა და აქტივობების ორგანიზება. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი პერიოდულად ატარებენ შიდა საკლასო სპორტულ აქტივობებს მათ შორის „მძლეოსნობასა" და „მინიფეხბურთში". ხელსაყრელი ამინდის პირობებში აქტივობები ტარდება ღია სპორტულ მოედანზე, ხოლო არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში - შიდა სპორტულ დარბაზში, რომელიც მცირე ზომისაა და აღჭურვილია მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარით. ამასთან, სკოლის საბაზო საფეხურის ვაჟთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე „მინიფეხბურთში", სადაც ორ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა. ასევე, გოგონებისა და ვაჟების გუნდებმა იასპარეზეს „მძლეოსნობაში", კერძოდ გეზრბენში დაბრკოლებათა გადალახვით სხვადასხვა დისტანციაზე.<br><br>**ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად -დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ მასწავლებელი/მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, სამიზნე ცნებებსა და საკითხებს. ისინი იყენებენ სამგანზომილებიან მიდგომას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა |

| | |
|---|---|
| | ინტერესებსა და საჭიროებებს და მიმართავენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა დაფუძნებულია ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორცილებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. წარმოდგენილია კათედრის ოქმები, ასევე გაკვეთილებზე დასწრების ფორმები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას.<br><br>როგორც გასაუბრებაზე გამოჩნდა, კათედრა დიაგნოსტიკური მუშაობას ახორციელებს დაწყებითებში, დამატებით რესურსებში წარმოდგენილია ტესტი და ანგარიში<br><br>ასევე სკოლას გამოზგავნილი აქვს რემედიაციის დებულება, გასაუბრებით გაირკვა რომ მუშაობენ რემედიაციაზე, მაგრამ დოკუმენტალურად არ აქვთ აღწერილი პროცესი. |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

 სკოლა მოქნილად რეაგირება შემხვედრს საჭიროებებზე. წარმოდგენილი ანგარიშებიდან და swot ანალიზიდან ირკვევა, რომ გააზრებული აქვთ სკოლის ძლიერი, სუსტი მხარეები, საფრთხეები და შესაძლებლობები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, მრავალფეროვანი და იძლევა საშუალებას შეფასდეს ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისი ცოდნა.<br><br>**რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაზომვა უფრო თვალსაჩინოდ იყოს შესაძლებელი. განმავიტარებელი რუბრიკებიც საიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვითაა გასაწერი. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მოქმედი შეფასების სისტემა (შეფასების რუბრიკები) შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ასახავს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებს, რაც უზრუნველყოფს ვალიდურობას. ასევე, მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან თუ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას. დავალებები ფორმულირებულია მოსწავლეებისათვის გასაგებად. სწავლა-სწავლების პროცესისადმი ასეთი მიდგომა ხელს უწყობს შეფასების სისტემის სანდოობას და ობიექტურობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ხშირად განხორციელდეს მონიტორინგისა და თვითშეფასების მექანიზმები, რათა კათედრამ რეგულარულად გააანალიზოს საკუთარი შეფასების პრაქტიკა და შეიმუშაოს გაუმჯობესების გზები. ასევე სასურველია პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოებით შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში; |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. თუმცა, წარმოდგენილ შემაჯამებელი(ტესტური)დავალების შეფასების რუბრიკებში,  სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს, თუ რა კონკრეტული საკითხების ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ძირითადად ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კრიტერიუმები და შეფასების დონეები უმეტეს შემთხვევაში ჩამოყალიბებულია მკაფიო და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, რათა შეფასების მოთხოვნები უფრო მკაფიო და ხელმისაწვდომი გახდეს.<br><br>**ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**<br><br>**რჩევა:** სასურველია, დაწყებით და საბაზო საფეხურზე, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შუმუშავებული იყოს უშუალოდ თემის ფარგლებში და  თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაში ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ასევე რეკომენდებულია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ნათლად იყოს განსაზღვრული. |

| | |
|---|---|
| | მნიშვნელოვანია, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების კრიტერიუმად არ განისაზღვროს სასიმღერო უნარების შეფასება, ვინაიდან იგი არ არის მოთხოვნილი საგნობრივი სტანდარტით. საშუალო საფეხურზე, მუსიკის საგანში შემუშავდეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. |
| სახელმწიფო ენა | სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკა, რომლებშიც გაწერილი კრიტერიუმები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს იმის რესურსი, რომ მოამზადოს და პრაქტიკაში გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა ვიზიტის დროს მოამზადეს და სანიმუშოდ წარმოგვიდგინეს სამივე საფეხურზე სწორედ ისეთი რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმებიც გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარეობს. |
| მათემატიკა | სკოლის შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს. შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები და სადიაგნოსტიკო ნიმუშები, საშუალებას აძლევს მასწავლებელს მართებულად და მკაფიოდ შეაფასოს მოსწავლეთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.<br><br>შეფასების პროცესი გამჭვირვალეა: მოსწავლეებს ეცნობებათ კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები, რაც ზრდის მათი ჩართულობასა და პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლებაზე. სისტემა ასევე არის ობიექტური და სამართლიანი, რადგან შეფასების ინსტრუმენტები მიმართულია კონკრეტულ შედეგებზე და არ დგება სუბიექტური შეფასების ადგილი. |

| | |
|---|---|
| | სისტემაში ასევე აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რაც ეხმარება მოსწავლეებს საკუთარ განვითარებაზე დაკვირვებაში და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. შესაძლებლობა რჩება თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების პრაქტიკის გაძლიერებაში, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა სისტემის ობიექტურობას და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში. განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს სისტემურად დააკვირდეს მოსწავლის პროგრესსა და განვითარების დინამიკას, მიაწოდოს უკუკავშირი და დაეხმაროს მას საკუთარი მიღწევების გააზრებასა და გაუმჯობესებაში. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს თვითრეგულირებული სწავლის უნარის განვითარებას. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტებისა და ინტერვიუების განხილვა ცხადყოფს, რომ სკოლაში მოქმედებს დეტალურად ჩამოყალიბებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად.<br><br>მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ აუცილებელია მოსწავლეებს წინასწარ გააცნონ შეფასების კრიტერიუმები, რაც მათ ეხმარება სწავლის პროცესის სწორად დაგეგმვასა და თვითშეფასების უნარის განვითარებაში. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეებს მკაფიოდ ესმით, რის საფუძველზე ხდება მათი შეფასება. |

| | |
|---|---|
| | შეფასება მიმართულია როგორც საბოლოო შედეგზე, ისე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც კიდევ უფრო ამყარებს სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი საგნობრივ საკითხებზე მორგებული, ასევე პრეზენტაციის, ჩართულობის შეფასების რუბრიკები.<br><br>სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. მექანიზმი არეგულირებს ვერიფიკაციის ძირითად პრინციპებს, ამოცანებს, პასუხისმგებელ და მონაწილე პირებს. სასწავლო პროცესის შეფასების პროცესი არის სანდო, სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ვერიფიკაციის მექანიზმი ასევე განსაზღვრავს მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაიცის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- მასწავლებლის სემესტრული ანგარიში; განხორციელებული სპორტული აქტივობები
- კათედრის ოქმები და სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმების უმეტესობაში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ძირითად რესურსად სახელმძღვანელოს კონკრეტული გვერდებია მითითებული, დამხმარე რესურსებად კი სხვადასხვა ონლაინ რესურსები.<br><br>**რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემას შეესაბამებოდეს ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების მატერიალური ჩამონათვალი და ონლაინ რესურსების გააქტივებული ლინკები. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცეში გამოყენებულია სამივე საფეხურის შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. სწავლა-სწავლების პროცესის დროს პედაგოგები იყენებენ როგორც ტრადიციულ (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე დამატებით რესურსებს (ვიზუალური მასალა, პრეზენტაციები, ციფრული პლატფორმები), რაც ქმნის მრავალფეროვან სასწავლო გარემოს. კათედრის წევრები უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის წვდომას სასწავლო რესურსებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მოქმედი ელექტრონული რესურსების, ასევე აღნიშნული ელ. რესურსების შერჩევის დროს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკი, ასევე ის, რომ ინფორმაცია გადმოცემული იქნას ქართულ ენზე; |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოიყენება როგორც გრიფირებული |

| | |
|---|---|
| | სახელმძღვანელოები, ასევე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები - თვალსაჩინოებები, ინტერნეტრესურსები და სხვა დამხმარე რესურსები, რაც ზრდის სასწავლო პროცესის დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე სხვა, მრავალფეროვანი დამხმარე მატერიალური თუ ელექტრო რესურსები, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას. პედაგოგები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად აკეთებენ რესურსების ადაპტაციასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| მათემატიკა | სკოლაში სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. რესურსები მრავალფეროვანია და მოიცავს სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ პლატფორმებს, ვიზუალურ მასალებსა და პროექტული აქტივობებისათვის საჭირო მასალებს.<br><br>რესურსები მიზნობრივად არის შერჩეული და უშუალოდ დაკავშირებულია სასწავლო თემებსა და სამიზნე შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ცოდნის ეფექტიან ათვისებას. მაგალითია პროექტები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც პირდაპირ ეფუძნება რესურსებს და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკაში გამოიყენონ ნასწავლი **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | კურიკულუმებში თემების შესაბამისად წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, მასწავლებლის გზამკვლევები და პრეზენტაციები, რომლებიც მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმოშობის ისტორიასა და ძირითად წესებს. აღნიშნული რესურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მიზნობრივად და მრავალმხრივად დაამუშაოს სასწავლო საკითხები. პრაქტიკაში მასწავლებელი რესურსებს არჩევს და იყენებს მოსწავლეთა საჭიროებებისა და თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებასა და ეფექტურობას.<br><br>**ინდიკატორი2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** - დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge".ასევე იყენებენ საერთაშორისო პლატფორმებს: scratch.mit.edu; code.org და ა.შ. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.<br><br>მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები და ბმულები. |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო კათედრის კოლეგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი რესურსების არჩევისას კათედრაზე პირველი სხდომისას არჩევენ ვალიდურ სასწავლო რესურსებს, რომელთა ჩამონათვალსაც ათანხმებენ ერთმანეთთან. ყველა რესურსი არის მიზნობრივი, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო მიზნების მოთხოვნების უკეთ გააზრებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, კათედრის ფარგლებში პედაგოგები ცდილობენ გამოიყენონ ისეთი რესურსები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მათი შინაარსობრივი სისწორე და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობა, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br><br>**რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დაინერგოს გამოყენებული დამხმარე ელექტრონული რესურსების ეფექტიანობის შემდგომი ანალიზის პრაქტიკა. |
| უცხოური ენები | მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში, გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა იყენებენ დამხმარე მატერიალურ რესურსებს და ელექტრონულ |

| | |
|---|---|
| | რესურსებს, მაგ. საგანმანათლებლო ვიდეოებს. რესურსების ვალიდაციას ახდენენ კათედრის სხდომაზე, სასწავლო წლის დასაწყისში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსი, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროცესის საჭიროებების, მოსწავლეთა ასაკის და თემის გათვალისწინებით. კათედრის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ რესურსებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი გამოყენების შესახებ, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ შერჩევას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**<br><br>**რჩევა:** მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის ერთიანი წესი, სადაც განსაზღვრული იქნება რესურსების შერჩევის, შეფასებისა და გამოყენების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს რესურსების ხარისხის სისტემურ კონტროლსა და სასწავლო პროცესის ეფექტიან მხარდაჭერას. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის საინტერესოდ, ხარისხიანად, ეფექტიანად, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით, ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების შესაბამისობას ადგენს კათედრა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რაც ასახულია კიდეც საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლა ახორციელებს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან, თემებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ვალიდაცია უზრუნველყოფს, რომ რესურსები ეფექტიანად იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესში, სწორად გამოავლინოს და გაძლიეროს სასწავლო შედეგები.<br><br>პრაქტიკაში ეს ვლინდება იმაში, რომ რესურსები საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენება მიზნობრივად, მათ შორის პროექტულ და კომპლექსურ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის ოქმით ცხადი გახდა და მასწავლებლებმაც ინტერვიუზე დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია განიხილეს კათედრის სხდომაზე და შეთანხმდნენ: სასწავლო პროცესი საინტერესო, სახალისო და აქტიური რომ იყოს, მასწავლებელს სჭირდება მრავალფეროვანი რესურსი. სასწავლო რესურსის შერჩევის დროს გაითვალისწინეს თუ რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და მასალის სიღრმისეულ წვდომას, ასევე დაადგინეს, რომ რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი, სანდო წყაროებიდან მოპოვებული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი. მასწავლებლებმა კათედრის სხდომაზე განხილული კრიტერიუმების მიხედვით განახორციელეს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს. |

| | |
|---|---|
| | ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას არ აქვს კაბინეტი, აქვს მწირი მატერიალური რესურსები, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მცირე რესურსებით, იაფი მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სკოლამ უზრუნველყოს საშუალო და საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კაბინეტის გამოყოფა და მისი აღჭურვა სველი წერტილით, ამწოვი კარადით, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, ძირითადად, შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. საკლასო ოთახები, სასწავლო ინვენტარი უზრუნველყოფს სწავლებისთვის აუცილებელ პირობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმებში გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ყველა მასალა: გრიფირებული სახელმძღვანელოები, მოსასმენი მასალები. ვინაიდან ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებენ დამხმარე ელექტრონულ რესურსებს, მათ აქვთ საშუალება გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა.<br><br>**ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსებით. ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ კომპიუტერული ტექნიკა, დინამიკები და სხვა დამხმარე საშუალებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას. სკოლას აქვს შესაბამისი სივრცე და რესურსი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური რესურსების (გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური პოსტერები, ყველა კლასისთვის განკუთვნილი საკლასო სივრცეები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და ა.შ.), ისე კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შერჩეული ელექტრონული რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| მათემატიკა | სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების სრულად არსებობას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიაღწიონ კურიკულუმში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რესურსები მოიცავს საკლასო მოწყობილობას, აღჭურვილობას, სასწავლო და ექსპერიმენტულ მასალებს, ელექტრონულ პლატფორმებს და სხვა მხარდაჭერილ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტიურ, უსაფრთხო და კომფორტულ სასწავლო გარემოს.<br><br>მატერიალური რესურსების რაოდენობა და განლაგება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობასთან შესაბამისობაში, რაც საშუალებას იძლევა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს წვდომა რესურსებზე, participe პროცესში აქტიურად და ეფექტიანად. ამის გამო მოსწავლეები თავისუფლად ახორციელებენ პროექტულ, პრაქტიკულ და კომპლექსურ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |
| სპორტი | სკოლას აქვს მცირე ზომის შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარით. სკოლასთან ახლოს მდებარეობს სოფლის სპორტული მოედანი, რომლითაც ხელსაყრელ ამინდში სარგებლობენ სპორტული აქტივობის განსახორციელებლად. სპორტული მოედანი შემოღობილია და ხელოვნური ბალახის საფარი |

| | |
|---|---|
| | აქვს. მოედანზე დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები და კალათბურთის ფარები. სკოლის მეორე კორპუსს, რომელიც ჩრდილისუბანში მდებარეობს აქვს მცირე შიდა სპორტული დარბაზი მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარით აღჭურვილი და ასევე აქვთ შემოღობილი გარე სპორტული მოედანი ბალახის საფარით, სადაც დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები. სკოლას აქვს ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: მაგიდის ჩოგბურთი, ბურთები, კონუსები (ფიშკები) მოედნის მოსანიშნად, რგოლები, ბარიერები, სისწრაფისა და მოქნილობის სავარჯიშო კიბე. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას მასწავლებლებმა განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი სპორტული აქტივობები.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში.<br><br>მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულთა 17 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგს ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდა. სკოლა ელოდება პედაგოგისთვის სტატუსის მინიჭებას. სკოლას არ ჰყავს მუსიკის სერთიფიცირებული მასწავლებელი. მუსიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებს მოქმედ კანონმდებლობას. ხარვეზი:მუსიკის მასწავლებელს კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მე-4 პუნქტი, მუხლი 21/3). სკოლას ჰყავს ინგლისური ენის, ტექნოლოგიების, ფიზიკური აღზრდის სერთიფიცირებული მასწავლებლები, მაგრამ საათების გადანაწილების დროს დაწყებით საფეხურზე არ არის გათვალიწინებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. ისქულის ბაზის გადამოწმებისას დგინდება, რომ დაწყებითი კლასებში არის შემთხვევა როდესაც დაწყებით კლასებში (I-IV) სერთიფიცირებული მასწავლებლები ასწავლიან ინგლისურ ენას, მუსიკას, ტექნოლოგიებს,ფიზიკურ აღზრდას და სხვ. ხარვეზი:დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილების დროს არ არის გათვალისწინებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თავი II/1, მუხლი 21/3).

რეკომენდაცია:

ა)სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) აღმოფხვრას ხარვეზი და დაწყებით საფეხურზე საათების გადანაწილების დროს გაითვალისწინოს მასწავლებელთა კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თავი II/1, მუხლი 21/3).

ბ)სკოლამ შესაბამისობის აღმოფხვრის გეგმაში გაწერილი ვადის გათვალისწინებით (05.09.2026 წ.) უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის დასაქმება.

***ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.*
- *პროექტის გეგმა სახელმწიფო ენაში*
- პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პირადი საქმეები, საკონკურსო მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| ***დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*** | ***საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*** | ***საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*** |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კათედრის სხდომებსა და შეხვედრებზე პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას და მოსაზრებებს, ერთობლივად იგეგმება მომდევნო წელს კურიკულუმში გასათვალისწინებელი საკითხები და ცვლილებები. მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე პასუხისმგებელ პირებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იძლევა პრობლემის ინდენტიფიცირების საშუალებას, შესაბამისად ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა დაფიქსირებული საკითხის გადაჭრის ოპტიმალური გზები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმართულია კურიკულუმის სრულყოფისკენ, რათა მაქსიმალურას იყოს გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ცვლილებები ხორციელდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები

- საგნობრივი კურიკულუმი

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრებიდან გამომდინარე, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასებისას გათვალისწინებულია არაერთი კონტექსტი. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, ჰყავს სპეც პედაგოგი, უწევენ მომსახურებას, ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საჭიროების მიხედვით. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, შესაბამისად პედაგოგები შეფასების პროცესში ითვალისწინებს თემის საჭიროებებს და მახასიათებლებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მონაცემები, მაგალითად საკლასო/საშინაო დავალებები, პროექტული ტიპის ნამუშევრები, შემოქმედებითი პროდუქტები, აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში გათვალისწინებული სხვადასხვა ფაქტორისა და გარემოებები გათვალისწინებით. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის გადასინჯვასა და რევიზიას. პედაგოგები სასწავლო წლის დასასრულისთვის განიხილავენ წლის მანძილზე გამოვლენილ საკითხებს, და გეგმავენ შესატან ცვლილებებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას, კათედრის სხდომაზე განიხილება და იდენტიფიცირდება საყურადღებო საკითხები, მონიტორინგის შედეგად ვლინდება გასათვალისწინებელი ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

თარიღი : 25/05/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: